

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა
სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი და სტრუქტურა

I. ნაშრომის ტექნიკური გაფორმება

1. **ქაღალდი:** თეთრი, 70/80 - გრამიანი.

2. **ფორმატი:** A 4 (210 X 297).

3. **გვერდების რაოდენობა:** სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 120 გვერდი, დანართების გარეშე (ამ რაოდენობაში არ შედის გამოყენებული ლიტერატურის სია, დოკუმენტური მასალის დანართი, ცხრილი, ტაბულა, ფოტომასალა და სხვ.) შესრულებული იქნას ქართულ ენაზე;

4. **შრიფტი:** ტექსტისათვის - Sylfaen, ზომა - 12, თავის სათაურისათვის - Sylfaen, ზომა - 16, პარაგრაფის სათაურისათვის - Sylfaen, ზომა - 14. ინტერვალი - 1.5.

5. **მინდორი:** მარცხნიდან 3 სმ, მარჯვნიდან 1,5 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ;

6. **ყდა:** მაგარი მასალისგან (ნებისმიერი ხარისხისა და ფერის).

7. **კინძვა:** თერმული.

8. **ტექსტის ნუმერაცია.** ნუმერაცია იწყება სატიტულო თავფურცლიდან (გვერდიდან), თუმცა სატიტულო თავფურცელზე არ დაისმება ციფრი 1. მთელ ტექსტში ნუმერაცია დაისმება ფურცლის ბოლოს, მარჯვენა კუთხეში.

9. **სადისერტაციო ნაშრომის სატიტულო თავფურცელი** (გვერდი). სატიტულო თავფურცლის (გვერდის) ზემო ნაწილში მიეთითება:

უნივერსიტეტის სრული დასახელება: „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შრიფტი: Sylfaen 12, Bold);

ფაკულტეტის სრული დასახელება: **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**“ (შრიფტი: Sylfaen 12, Bold);

სადოქტორო პროგრამის დასახელება: „**ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა**“ (შრიფტი: Sylfaen 14, Bold),

დისერტანტის სახელი და გვარი (შრიფტი: Sylfaen 16, Bold),

შუა ნაწილში სადისერტაციო ნაშრომის სრული სათაური (შრიფტი: Sylfaen 18, Bold), სათაურის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და აკადემიური წოდება (შრიფტი: Sylfaen 14, Bold, Italic). სატიტულო თავფურცლის (გვერდის) ქვედა ნაწილში აღინიშნება დაცვის ადგილი (ახალციხე) და დაცვის დრო (წელი) (შრიფტი: Sylfaen 12, Bold). (იხ. ქვემოთ ნიმუში 1-ლი)

II. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

1.განაცხადი. განაცხადი იწყება სატიტულო თავფურცლის შემდეგ (იხ. ნიმუში მე-2).

2. სადისერტაციო ნაშრომის სარჩევი. სარჩევი იწყება განაცხადის შემდეგ. სარჩევში შეტანილი უნდა იქნას ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესავალი, თავები, ქვეთავები, პარაგრაფები, დასკვნა, დამოწმებული ლიტერატურის სია, დანართები.

3.სადისერტაციო ნაშრომის ანოტაცია. ანოტაცია უნდა შესრულდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 გვერდისა (თითოეულ ენაზე). ანოტაცია იწყება სარჩევის შემდეგ ახალი გვერდიდან.

4.სადისერტაციო ნაშრომის შესავალი. შესავალი იწყება ანოტაციის შემდეგ, ახალი გვერდიდან. შესავალში მოცემული უნდა იყოს საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა (კვლევის მნიშვნელობა); კვლევის მიზანი; ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები; კვლევის მეთოდოლოგია; წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

5.სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი (თავები, ქვეთავები და პარაგრაფები). დოქტორანტის შეხედულებისამებრ თავებად და ქვეთავებად/პარაგრაფებად დაყოფილი ლოგიკურად სტრუქტურირებული კვლევითი ნაწილი. თითოეული თავი იწყება ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი/პარაგრაფი გრძელდება იმავე გვერდზე. თავის დასახელებას ტექსტი უნდა დასცილდეს 2 ინტერვალით, ქვეთავის/პარაგრაფის დასახელებას - 1,5 ინტერვალით.

6.სადისერტაციო ნაშრომის დასკვნა

დასკვნა იწყება ახალი გვერდიდან. დასკვნაში შეჯამებული უნდა იყოს კვლევის შედეგები და/ან რეკომენდაციები.

7.გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია იწყება დასკვნის შემდეგ, ახალი გვერდიდან. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ანბანური წესით ცალ-ცალკე. რეკომენდებულია ბიბლიოგრაფიის

დაყოფა შემდეგი სახით: წყაროები და დოკუმენტური მასალები; მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო ლიტერატურა (მათ შორის, ელექტრონული წიგნები და სტატიები ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებში); პერიოდული პრესა (მათ შორის, ელექტრონული); აუდიო და ვიდეომასალები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სხვა ქვეკატეგორიების გამოყოფა. ყველა გამოყენებული ნაშრომი – ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით (ქვეკატეგორიების მიხედვით) და დაინომროს. დაუშვებელია ბიბლიოგრაფიაში ისეთი ნაშრომის ან მასალის შეტანა, რომელიც არ არის მითითებული ძირითად ნაწილში (დეტალური ინფორმაცია დამოწმების წესის შესახებ მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის დამოწმების შესახებ გზამკვლევში).

8.დანართი (საჭიროების შემთხვევაში)

დანართი იწყება გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიის შემდეგ. დანართის სახით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი. ყველა დანართი იწყება ახალი გვერდიდან და მის მარჯვენა ზედა ნაწილში მიეთითება: „დანართი №...“ ცხრილები, დიაგრამები, ფოტოები... დაერთვის დანართად.



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, ჰუმანитарულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა

დოქტორანტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომის სათაური

ვეტერინარიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:
სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი

ახალციხე წელი

ნომუში მე-2

განაცხადი

(სახელი, გვარი) ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა

თარიღი